კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www. cra.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 14 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
www.cra.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
66.67%
61.46%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
36.84%
38.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
45.00%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
55.56%
29.20%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
39.13%
45.56%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
30.77%
52.06%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20.00%
50.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20.00%
50.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
20.00%
40.00%
60.00%
80.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის კომპეტენციის აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტი - მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

მენეჯმენტი

გიორგი ვაშაძე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე (2005-2006).
- თბილისის ჩუღურეთის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის უფროსი (2005).
- საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის მოწვეული სპეციალისტი (2004-2005);
- ინტერპოლის ეცბ-ს ინსპექტორი (2003-2004);
- საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეთა ასოციაციის თავმჯდომარე (2001-2003).

გიორგი ვაშაძე არის საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეთა ასოციაციის და ქართულ - ოსური თანამშრომლობისა და განვითარების ცენრის დამფუძნებელი;

გიორგი ვაშაძეს ეკუთვნის შემდეგი ნაშრომები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა საქართველოში და სხვა პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები;
- გამჭვირვალობა და საზოგადოების ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობაში;
- კორუფციის ეკონომიკური საფუძვლები;
- მენეჯმენტის პრობლემები საქართველოს სახელმწიფო სექტორში;
- საქართველოს საერთაშორისო პრიორიტეტები.

გიორგი ვაშაძეს ჰყავს მეუღლე

საკონტაქტო ინფორმაცია: vashadze@cra.gov.ge

- არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და შემდეგი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სააგენტოს თავმჯდომარე“ და „მოადგილეები“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. სააგენტოს სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო“, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

3. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სააგენტოს საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

4. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პრესცენტრი“ მოცემულია სააგენტოს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

სასურველია, აქვე მოცემული იყოს აგრეთვე, ზოგადად საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერიც.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სამსახურების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასახელება:

7. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ისტორია“ მოცემულია ძალზედ მწირი ინფორმაცია სააგენტოს ისტორიის შესახებ:

სასურველია, მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული *დეტალური* საქმიანობის ისტორია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- სტრუქტურულ ხეზე არასრულად არის წარმოდგენილი სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ არ არის აღნიშნული სააგენტოს შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების დასახელებები:

  - ❖ დისტანციური მომსახურების სამსახური;
  - ❖ ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;
  - ❖ საქმისწარმოების სამსახური;
  - ❖ საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორ ორგანიზაციებთან კოორდინაციის სამსახური;
  - ❖ პროექტების მართვისა და ბიზნეს ანალიზის სამსახური.

  ამასთან, მოცემულ განყოფილებაში მოყვანილ სტრუქტურაზე მოცემულია შემდეგი რამოდენიმე ისეთი სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება, რომელიც, სააგენტოს მოქმედი დებულებით არ არის განსაზღვრული:

    - ❖ კანცელარია;
    - ❖ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „პრესცენტრი“ მოცემულია მხოლოდ საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა:



- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და უფლებამოსილებების აღწერა;

- არასრული სახით არის წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები და ფოტოსურათები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მენეჯმენტი“ არ არის მოცემული სააგენტოს შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია:

  - იურიდიული სამსახური;
  - ინფრასტუქტურის განვითარების სამსახური;
  - ბუღალტერია;
  - პროექტების მართვისა და ბიზნეს ანალიზის სამსახური:

გიორგი ამისულაშვილი

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამმართველოს უფროსი

ლევან დარბაიძე

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსი

ეთერ ბახტურიძე

სამოქალაქო რეესტრის საგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

ეკა მამალაძე

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის ფოტოსურათი არასტანდარტიზირებულია და არ ჯდება ქვე-განყოფილებაში „მენეჯმენტი“ არსებულ დანარჩენი ფოტოსურათების ფორმატსა და სტანდარტში:

ქეთევან გომელაური

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსი

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად სააგენტოსთან იქმნება მოქალაქეობის საკითხთა კომისია, რომლის წევრებს ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარე. სასურველია, ვებ-გვერდზე მოიძებოდეს მოქალაქეობის საკითხთა კომისიისა და მის შემადგენლობაში მყოფი წევრების შესახებ ინფორმაცია.

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ:

- არ მოიძიება ტერიტორიული სამსახურების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება ტერიტორიული სამსახურების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ტერიტორიული სამსახური“ არსებულ ქვე-განყოფილებებში მოცემულია მხოლოდ ტერიტორიული სამსახურების უფროსების მხოლოდ სახელები და გვარები:



- არ მოიძება ტერიტორიული სამსახურების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- არ მოიძება ტერიტორიული სამსახურების ელექტრონული ფოსტის მისამართები და ფაქსის ნომრები;

- არასრული სახით არის წარმოდგენილი ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები, კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ტერიტორიული სამსახური“ არსებულ ქვე-განყოფილებებში მიმოფანტულად არის მოცემული ტერიტორიული სამსახურების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები (მათ შორის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შედეგების პერიოდული შეჯამება, შეფასება და ანალიზები), პროგრამები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს მიერ შემუშავებული სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების მოკლე და გრძელვადიანი პროექტები, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ შემუშავებული სააგენტოს ინფრასტრუქტურული პროექტები; სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების საქმიანობის სრულყოფის მიზნით პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები, შესყიდვების სამსახურის მიერ შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმები; პროექტების მართვისა და ბიზნეს ანალიზის სამსახურის მიერ შემუშავებული

პროექტების მართვისა და პროცესების ანალიზის სტანდარტული მეთოდოლოგიები; ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები (მათ შორის ბუღალტერიის მიერ შემუშავებული სააგენტოს ბიუჯეტისა და ხარჯთა ნუსხის პროექტები, კვარტალური და წლიური საფინანსო ანგარიშები) *და ა.შ.*

სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს სააგენტოს მიერ ფორმირებული საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა მონაცემების ერთიანი რეესტრი; სამოქალაქო აქტების შესახებ შექმნილი და აღრიცხული საარქივო ფონდი; მოქალაქეობისა და მიგრაციის მონაცემთა ბაზა; აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამმართველოს მიერ წარმოებული აპოსტილისა და ლეგალიზაციის სარეგისტრაციო ჟურნალები (ელექტრონული ფორმით);

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებული ქვე-განყოფილება „სააგენტოს ჰიმნი“ ცარიელია:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არსებულ სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციული სახის მიმოხილვებში არ მოიძიება სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები:



მთავარი

სიახლეები

12 დეკემბერი 2011

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის დიზაინზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდა

უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის დიზაინზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდა

12 დეკემბერს, მთავრობის კანცელარიის სხდომათა დარბაზში უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის დიზაინის პრეზენტაცია გაიმართა. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა, მირზა (პაპუნა) დავითაიამ და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ვამპმემ კონკურსში გამარჯვებული ესკიზი წარმოადგინეს და მის ავტორს მამუკა გონგაძეს ჯილდო – 5000 ლარი გადასცეს

10 დეკემბერი 2011

ID ბარათით თურქეთ–საქართველოს საზღვრის გადაკვეთა გახდა შესაძლებელია

2011 წლის 10 დეკემბრიდან თურქეთ–საქართველოს საზღვრის გადაკვეთა ID ბარათით გახდა შესაძლებელი.

მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემებისა და სტანდარტების შესაბამისი ელექტრონული ID ბარათით გადაკვეთონ ერთობლივი საზღვარი. საუბარია ორენოვან დოკუმენტზე, რომელიც საქართველოში უკვე ფუნქციონირებს.

07 დეკემბერი 2011

საქართველოში ეკატერინე პოპულარული სახელია

საქართველოში ეკატერინე პოპულარული სახელია. დღეის მონაცემებით საქართველოში 36 755 ეკატერინე ცხოვრობს, მათ შორის 1663 ეკატერინა და 10 657 ეკა.

დღეს მართლმადიდებელი ეკლესია დღეს წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ხსენებას აღნიშნავს.

ამასთან, სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციული სახის მიმოხილვები განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სიახლეები“, სასურველია, აგრეთვე, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნას განცალკევებული ბანერი სათაურად „სიახლეები“, სადაც განთავსდება სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციული სახის მიმოხილვები, რაც მომხმარებლისათვის ინფორმაციის მოძიებას გააადვილებს.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-) განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის წლიური და მიმდინარე/კვარტალური ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სტატისტიკა“ სასურველია აგრეთვე, განთავსდეს 2011 წლის სტატისტიკური მონაცემებიც:



14. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „დონორები და პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე, პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, აგრეთვე, ცნობები პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ:

პროექტის მიზანი და ამოცანები

'საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რეფორმის მხარდაჭერის პროექტის' მიზანია საქართველოში სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების მხარდაჭერა იუსტიციის სამინისტროს შიდა ადმინისტრირებისა და მართვის კომპლექსური რეფორმის განხორციელების ხელშეწყობით.

1) იუსტიციის სამინისტროში პოლიტიკისა და სტრატეგიის შემმუშავებელი სტრუქტურული ერთეულების გაძლიერება და პოლიტიკის შემუშავების პროცესის განვითარება;

2) იუსტიციის სამინისტროს ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება ადამიანური რესურსებისა და ბიუჯეტის მართვის თვალსაზრისით;

3) სამოქალაქო რეესტრის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა, ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დამყარებული მართვის შემოღების უზრუნველყოფით.

პროექტის ეკგუფი თავისი საქმიანობის განხორციელებისას დაეყრდნობა იუსტიციის სამინისტროს შეფასებას, რომელიც განხორციელდა 2004/2005 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით (პროექტი `სწრაფი რეაგირების მექანიზმი საქართველოსათვის, 2004 წ.)

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე (აგვისტო, 2006 წ. – თებერვალი, 2008 წ.)

პროექტი მხარს დაუჭერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დამყარებული მართვის შემოღებას.

აღნიშნული ამოცანის მისაღწევად ძირითადი საქმიანობების განხორციელება მოხდება იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან (სრს) და სხვა შესაბამის პარტნიორებთან ერთად, რომელთა განსაზღვრა პროექტის საწყის ეტაპზე მოხდება.

სახელდობრ, პროექტი:

- შეაფასებს არსებულ სისტემას სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით; განავითარებს სრს-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებს
- მხარს დაუჭერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას პოლიტიკის შემუშავებასა და განხორორციელებაში სტრუქტურული და სამართლებრივ რეფორმის ფარგლებში
- შეიმუშავებს პირადობისა და მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობას ევროკავშირის პირადობის შესახებ დირექტივის შესაბამისად. მონაცემთა დაცვის შესახებ ზოგადი კანონის გარდა სამოქალაქო რეესტრის განხრით შემოღებულ უნდა იქნეს ცალკე კანონი პერსონალური მონაცემების ჩანაწერების დაცვის შესახებ;

15. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ნორმატიული აქტები“ სასურველია განთავსდეს სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივ (ადმინისტრაციული) აქტები (მათ შორის მოადგილეების უფლებამოსილების განმსაზღვრელი ბრძანება, სააგენტოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები, სააგენტოს საშტატო განრიგი, თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს კატეგორიები, სააგენტოს, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების და ტერიტორიული სამსახურების ბეჭდებისა და შტამპების სტანდარტულ ნიმუშები და ტერიტორიული სამსახურების კოდური აღნიშვნები, დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისა და ლეგალიზაციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის და ტერიტორიული სამსახურების ფარგლებში ხელმოწერის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირების განმსაზღვრელი ბრძანება, აგრეთვე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი.):



სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტები; ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებების პროექტები, შრომის შინაგანაწესი.

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - სააგენტოს დებულება და შინაგანაწესი (რომლებიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ამასთან, სასურველია, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნას, აგრეთვე, განცალკევებული ბანერი სათაურად „სამართლებრივი აქტები“ ან „კანონმდებლობა“, სადაც განთავსდება ზემოთ აღნიშნული შესაბამისი ინფორმაცია, რაც მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებას გააადვილებს.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ**„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ იდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/reestri__sajaroinfo.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ იდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/infostatistics_reestri.pdf).

20. სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად, სააგენტო ახორციელებს შემდეგ სანებართვო და მარეგისტრირებელ ქმედებებს:

- პირადობის მოწმობის გაცემა
- პასპორტის გაცემა
- ბავშვის პასპორტის გაცემა
- ბინადრობის ნებართვის გაცემა
- დაბადების რეგისტრაცია
- მამობის დადგენის რეგისტრაცია
- ქორწინების რეგისტრაცია
- განქორწინების რეგისტრაცია
- შვილად აყვანის რეგისტრაცია
- სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია
- გარდაცვალების რეგისტრაცია
- აპოსტილი და ლეგალიზაცია
- სხვა მომსახურება

ხოლო, ვებ-გვერდზე არ მოძიება ხსენებულ ქმედებათა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ❖ აღნიშნულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე უარის თქმის ან ამ ქმედებათა განხორციელების შეჩერების კრიტერიუმების აღწერა;

- ❖ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადების ფორმები და ფორმის შესავსებად აუცილებელი თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია აღნიშნულ სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად;

- ❖ მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;

- ❖ იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აღნიშნულ სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე.

იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო და მარეგისტრირებელ ქმედებათა განხორციელებაზე, აგრეთვე ზემოთხსენებულ პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

21. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

22. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, თუმცა მასში მოცემულია მხოლოდ სატენდერო განცხადებები:



სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

23. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება (ბანერი) სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ სტაჟირებისა და სამუშაოს მაძიებლის ანკეტები და საჭირო ნორმატიული მასალა:



სასურველია, აღნიშნული განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, ვაკანსიათა არქივი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

24. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება სააგენტოსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/proeqtebi_biujeti.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებობის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სტრუქტურული ერთეული, ტერიტორიეული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/reestri_xelfasipremia.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც ასევე, მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/samoqalaqorestri_xelfasipremia0001.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
88.89%
2. ძიება
20.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
62.50%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
33.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63.16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
16.67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33.33%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის რუკა არასწორად არის შექმნილი, დარღვეულია ბმულების იერარქია:

- **ძიება**

ძიების მოდული არ ფუნქციონირებს. ძებნის ღილაკზე დაჭერით გამოდის შემდეგი გვერდი:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ზოგიერთი გვერდი საკმაოდ გადატვირთულია სხვადასხვა ფერებით, რაც ართულებს გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მარტივად აღქმას:



➢ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

თუ მომხმარებელს სასწრაფოდ სჭირდება სამოქალაქო რეესტრის საკონტაქტო ინფორმაცია, მისი მოძიება საკმაოდ რთულია, რადგან პირველ გვერდზე ერთი შეხედვით არსად არ ჩანს მსგავსი ბმული:



საკონტაქტო ინფორმაცია არის ვებ-გვერდის მარცხენა მხარეს, ბანერის სახით:

საკონტაქტო ინფორმაცია აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული მისთვის სტანდარტულ ადგილზეც, რადგან მომხმარებელი არ არის მიჩვეული საკონტაქტო ფორმის ბანერის სახით განთავსებას. ამავე დროს სასურველია, რომ არსებული ბანერის საშუალებით შესაძლებელი იყოს თავად საკონტაქტო ფორმის გვერდზეც გადასვლა, რაც აღნიშნული ვებ-გვერდის შემთხვევაში მხოლოდ რუკის გამოყენებით შეიძლება:



აღსანიშნავია, რომ სამწუხაროდ საკონტაქტო ფორმა განყოფილება პრესცენტრშიც არ არის განთავსებული.

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ბეჭდვის ღილაკზე დაჭერით ზოგიერთ შემთხვევაში გამოდის ფურცელი, სადაც მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის ლოგო ჩანს:



ზოგადად ვებ-გვერდზე წვრილმანი ხარვეზები ხშირად გვხვდება. მაგალითად სურათის და ტექსტის სტრუქტურა დარღვეულია:



კიდევ ერთი სტრუქტურული ხარვეზი ბანერზე:

ასევე ხარვეზები გვხვდება წარწერებშიც:



- **ონლაინ სერვისები**

აუცილებლად დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვებ-გვერდი დატვირთულია სხვადასხვა სასარგებლო ონლაინ სერვისებით. მაგ:



ასევე ელექტრონულ სერვისებს აქვთ ვიდეო გიდი, რომელიც ძალიან სასარგებლოა ყველა მომხმარებლისთვის:



ელექტრონული სერვისების გამოყენება უფრო გამარტივდებოდა, თუ სამოქალაქო რეესტრის მომსახურების ყველა კატეგორიაში, ახსნა-განმარტებებთან ერთად დაიდებოდა შესაბამისი ელ-სერვისის ბმულიც.

მაგალითად დაბადების რეგისტრაციის გვერდში, სადაც შესაძლებელია შესაბამისი ონლაინ სერვისის ბმულის დადება:



➢ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის კონტენტის მართვის პანელი ძალიან მარტივად მისაგნებია:



ჩვენს რეკომენდაციაში სპეციალურად არ დავწერთ კონკრეტულად სად არის მართვის სისტემა განთავსებული ან როგორ შეიძლება მისი აღმოჩენა, ასევე აქ არ ვისაუბრებთ შემდგომში

განხილულ უსაფრთხოების ხარვეზებზე, თუმცა სამოქალაქო რეესტრის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

მართვის სისტემაში არ იფილტრება გადაცემული ინფორმაცია, რის შედეგადად სერვერზე ფიქსირდება შეცდომები:

Warning: mysql_num_rows(): supplied argument is not a valid MySQL result resource in **C:\crawww\functions\autorization.php** on line **71**

ეს შეცდომები საკმაოდ სერიოზულ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან შეცდომა ხდება ბაზასთან კავშირის დროს, შესაბამისად ***შეცვლილი ბრძანების*** გაგზავნის შედეგად შესაძლებელია მართვის პანელის მონაცემების მიღება. მონაცემების მიღების შემდეგ კი მთლიანად ვებ-გვერდის ინფორმაცია შეიძლება კიბერ შემტევის ხელში აღმოჩნდეს;

ანალოგიური პრობლემა გვხვდება, სხვა გვერდებზეც:



ეს შეცდომები სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ საკმაოდ სახიფათოა ელ-რესურსის უსაფრთხოების კუთხით;

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდის საქაღალდეები (ფოლდერები) დაცული უნდა იყოს სპეციალური მეთოდით (CHMOD) და არ უნდა იყოს ღია ყველა მომხმარებლისთვის, როგორც ამ შემთხვევაშია:

ვებ-გვერდის „ჰედერი“ (Header) უხარისხოდ არის დამუშავებული და დახვეწას საჭიროებს:

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია და ელექტრონული სერვისებია განთავსებული, თუმცა მათი ერთმანეთთან დაკავშირება უფრო მარტივად არის შესაძლებელი. ასევე ვებ-გვერდზე სასურველია გამარტივდეს ნავიგაცია, აღსდგეს ძიების მოდულის ფუნქციონალურობა და გამოსწორდეს სტრუქტურული ხარვეზები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ვებ-გვერდზე უნდა განთავსედ ონლაინ გადახდის მოდული. ზოგადად

შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდი ძალიან სასარგებლო ინფორმაციას შეიცავს, თუმცა საჭიროა ეს ინფორმაცია მომხმარებლებს მიეწოდოს გამარტივებულ ფორმატში.